წელიწადი მეორე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

წითელი არმიელი

ფასი 5000 მანეთი.

გაზეთი გამოდის ყოველდღიურად მასალები მიიღება რედაქც. 9—3 საათ. ყოველ დღე. რედაქ. მისამ.: საპიორ. ქ. № 30. პირველი სართული.

ოთხშაბ. 29 ნოემბერი 1922 წ.

№ 154 ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილების ყოველდღიური ორგანო № 154

წითელ-არმიელთა საყურადღებოთ

ცენტრალურ წითელ-არმიელთა კლუბთან მოეწყო და შეუდგა მუშაობას შემდეგი წრეები:

1. პოლიტიკური.
2. ლიტერატურული
3. დრამატიული
4. სამხატვრო
5. მუსიკალური.

ჩაწერა ამ წრეებში შეიძლება ყოველ დღე კლუბის გამგესთან საღ. 6 საათიდან 9 საათამდე.

კლ. გამგე ვ. ხუციშვილი.

3—7

განცხადება

წითელ არმიელთა ცენტრალურ კლუბში ხუთშაბათს 30 ნოემბერს დღის 3 საათზე, შესდგება საერთო კრება ზურგში მყოფ ნაწილების მოსამსახურეებისა. დღიურ წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები:

1) ამიერკავკასიის საბჭოების ყრილობის შესახებ და ამიერკავკასიის ფედერაციის, რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში შესვლა. მომხსენებელი შ. ელიავა.

2) არჩევნები კონფერენციაზე.

შენიშვნა: დივიზიის საავადმყოფო სასურსათო მაღაზია და საკომენდანტო გუნდის წითელ არმიელები და მოსამსახურენი ვალდებულნი არიან გამოცხადდენ ამ კრებაზე, ვინაიდგან მათთან ცალ-ცალკე მოხსენებები არ შესდგება მიუხედავათ იმისა, რომ გამოქვეყნებული იყო გაზ. „წით არმიელში."

ზურგის ნაწილების ბიურო კოლექტივის

მდივანი—სკინჯალაშვილი.

მენშევიკების შავი საქმეების გამოაშკარავება.

საქართველოს მშრომელი ხალხის ინტერესების გამყიდველი მენშევიკები, ქართველი ხალხის რისხვისაგან დაზნეული შიშის კანკალით გაიძახოდა, რომ მას არავითარი კავშირი არ აქვს იმ ბანდიტებთან, რომელთაც ხელმძღვანელობდა ყოფილი თავადი ქაქუცა ჩოლოყაშვილი.

ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ამასწინათ გამოვაქვეყნეთ საუბარი ამხ. გრ. კოპიძესთან, რომლიდანაც აშკარათ მტკიცდებოდა უშუალო კავშირი მენშევიკების ორგანიზაციებსა და ჩოლოყაშვილის ბანდიტებს შორის.

გაზ. კომუნისტის კვირის ნომერში ჟკვე ვრცლად იყო გამოქვეყნებული დოკუმენტები, რომელნიც აშკარავებენ მენშევიკების ორგანიზაციის და ჩოლოყაშვილის რაზმის მზადებას საქართველოში აჯანყების მოწყობისას.

მათ გადაწყვეტილი ჰქონდათ მოემხროთ საქართველოს ყველაზე უფრო უკულტურო ნაწილი მცხოვრებლებისა—მთიულები და იმათი შემწეობით დაეწყოთ აჯანყების მოწყობა. აჯანყების დაწყებას ფიქრობდენ 27 სექტემბერს და უნდა გაწევითარებინათ 15 ოქტომბრამდე. ადგილობრივ აჯანყების კომიტეტის გარდა, რომელშიაც შედიოდენ განსაკუთრებით მენშევიკები, იყო შედგენილი აგრეთვე „კავკასიის აჯანყების გაერთიანებული კომიტეტის დელეგაცია" შემდეგი შემადგენლობით: საქართველოდან ლორთქიფანიძე. მულაშვილი, და ჟორდანია, ოსეთი და ინგუშეთიდან—იკალოვი. და ბაგაევი, საჩეჩნე და დაღესტანიდან—ნეჟ-მე დინი, ხაჯი—გუსეინი და ხაჯი—ალიბოვი; სომხეთიდან ექიმი არგაბიანი.

ეს დელეგაცია კავკასიის აჯანყების მომწყობ კომიტეტის სახელით სთხოვდენ იარაღით, ფულით და სამხედრო სპეციალისტებით დახმარებას საფრანგეთის, ბელგიის, რუმინეთის და საბერძნეთის მთავრობებს. ეს დელეგაცია ვრანგელს ევედრებოდა დახმარებას, მაგრამ მან ეს ინი არ მიიღო, რადგან ერთხელ იწვნია წითელი არმიისაგან სასტიკი დამარცხება და ამ უკუდო პოლიტიკანების ავანტიურას ცხადია არ აჰყვებოდა. იმათმა იტალიის ფაშისტებთან სცადეს კავშირის დაჭერა რუსეთის გადახვეწილ კონტრევოლიუციონერ ბურჟუაზიულ ემიგრანტებთან და ესერების ორგანიზაციებთან აწარმოეს მოლაპარაკება. წყალწაღებული ესერების ლიდერები: კერენსკი, ზენზინოვი და სხვები ხაჯ სივით ჩაეჭიდნენ კავკასიის გზაანნეულთა გეგმას და საფრანგეთის გენერალ ფოშის დახმარებით სცდილობდენ კავკასიაში ავანტიურის დაწყებას, მაგრამ ამას დაპირდენ იმ შემთხვევაში, თუ თვით კავკასიაში აჯანყება ფართო ხასიათს მიიღებდა.

აჯანყების კომიტეტს დიდი იმედი ჰქონდა იმისა, რომ ევროპა რუსეთის შინაურ საქმეებში ჩაერეოდა, მაგრამ ყოველივე გაუცრუვდათ და კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ.

ევროპა რუსეთის შინაურ საქმეებში ჩარევაზე ოცნებას, იძულებული შეიქმნა თავი დაენებებია— და მეორეც, თვით კავკასიის მშრომელმა ხალხმა აჯანყების კომიტეტის მოწოდებებს აჯანყებისათვის, სრულიად ყური შეხვდენ.

კერძოთ საქართველოში მენშევიკების „აჯანყების" მოწყობა გამოიხატა ყოფილ თავადის ჩოლოყაშვილის რაზმის კარიკატურული გამოსვლით, რომელიც საქართველოს წითელმა ლაშქარმა აღგავა დედამიწის პირისაგან!

მენშევიკებმა არ იკმარეს ქართველი მუშისა და გლეხის სისხლის წოვა სამი წლის განმავლობაში და ეხლა, ვითომ „დამოუკიდებლობის" სახელით სურდათ ევროპის ბურჟუაზიის დავალება შეესრულებიათ, მაგრამ ქართველმა ხალხმა და მისმა წითელმა ჯარმა ნათლად დაინახვა, რომ ისინი უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცავენ საბჭოთა ხელისუფლებას და არავის არ მისცემენ უფლებას მის წინააღმდეგ მახვილის აღმართვისას.

გამოქვეყნებული დოკუმენტები საბოლოოთ აშკარავებენ მენშევიკების მიერ ევროპის ბურჟუაზიისაგან ფულის და სამხედრო იარაღების მიღებას და საქართველოში კი, მჭიდრო კავშირს ყოფილ თავად ჩოლოყაშვილის რაზმთან, ყოფილ ოფიცრებთან, ყაჩაღთა ბრბოებთან და საზოგადოების ყოველგვარ ნაძირალებთან.

მენშევიკებმა ნიღაბი უკვე საბოლოოდ ჩამოიხსნეს და ევროპის ბურჟუაზიასთან ხელიხელ ჩაკიდებული მუშაობენ საბჭოთა ხელისუფლების დასამხობათ და პროლეტარულ რევოლიუციის ცეცხლის ჩასაქრობათ.

საქართველოს მუშებმა და მშრომელმა გლეხებმა პრაქტიკით შეისწავლეს მენშევიკების ბუნება და მათ ყოველგვარ პროვოკაციულ გამოსვლებს ყოველთვის ცეცხლის მახვილით უპასუხებენ.

ქ. ხ.

წითელი პრესა

კოოპერატიულ ორგანიზაციებში და „შევარდენში" თავი მოიყარა მენშევიკებმა და თავისი კონტრევოლიუციონური მუშაობა გააცხოველეს. კოოპერატიული ორგანიზაციები დაანგრიეს და მით ხელს უშლიან საბჭოთა სამეურნეობის აღორძინებას სასპორტო ორგანიზაცია „შევარდენში" სდევნიან ახალგაზრდა კომკავშირის წევრებს და იქ მოშხამული მენშევიზმით სცდილობენ ახალგაზრდობის აღზრდას.

ამ ორი ორგანიზაციის შესახებ გაზ. „კომუნისტი" სწერს:

„როგორ ჰაინჯღდებიან ბავშვები—ჩვენი მოზარდი თაობა, რომელიც ვიდაცას მუხთალ ხელს ყოველთვის გამოჰყავდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ თებერვლის და მაისის დღეებში? „შევარდენის" ორგანიზაცია კაპიტალისტიური საქმეების მაგიერ აწარმოებდა პოლიტიკურ ბრძოლას ჩვენს წინააღმდეგ, სწამლავდა „პატარების" გრძნობას... ამას ბოლო უნდა მოეღოს და მთელმა მუშურ-გლეხურმა ახალგაზრდობამ ყველგან წამოაყენა მოთხოვნილება „შევარდენის" გაუქმების შესახებ. სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებას ყოველგვარ „შევარდენის, სკაუტების" და „სოკოლის" გაუქმებისა და მათ მაგიერ „სპარტაკის" დაარსების შესახებ, შეიძლება მხოლოდ მივესალმოთ, როგორც ბავშვთა მოძრაობის გაჯანსაღების დასაწყისს.

„რა ხდებოდა საერთო-სამოქალაქო კოოპერაციაში, რომელიც გადაიქცა ადგილად, სადაც თავი მოიყარეს მენშევიზმის და ნაციონალიზმის ყველა დიდმა და პატარა ვირთაგვებმა? თავისუფალ, დამოუკიდებელ კოოპერაციის სახით, მენშევიკების გმირები სრულიად თავისუფლად და სისტემატიურად მუშაობდნენ საბჭოთა ხელის-უფლების წინააღმდეგ"

„საქართველოს ყველა მაზრებში ახლო წარსულში მომხდა ცეკავშირის ყრილობის არჩევნებში რომელიც სწარმოებდა ყოველგვარ დემოკრატიულ წესის დაცვით და კოოპერატიულ ჩვეულებების დაუღალავად, (ამაზე ნუ აღშფოთდება მოქალაქე ვიქტორ სერჯი) მენშევიკური ცეკავშირის ხელმძღვანელობით, კომუნისტებმა მაინც საკმაო ხმები მიიღეს. მშრომელი მოსახლეობის უმრავლესობამ, რომელიც გაერთიანებულია კოოპერატივებში, მხარი დაგვიჭირა ჩვენ და ჩვენც უნდა გადავარჩინოთ ამ ჟამად კოოპერაცია იმ გახრწნისა და დანგრევისაგან, რომელიც არის შედეგი მენშევიკების „გმირული" მოღვაწეობისა, რას იზამ; საბჭოთა საქართველოს მშრომელნი ამიერიდან აღარ გენდობათ თქვენ— პოლიტიკურ ბანდიტებს—მენშევიკებს."

დღევანდელი ცნობები

— გაზ. „ტანი" იუწყება, თუ ოსმალეთის დელეგაცია განაგრძელებს თავის შეურიგებელ პოზიციას, მაშინ მოკავშირეები შეზღუდავენ მოლაპარაკებას, მხოლოდ ოსმალეთ-საბერძნეთის შორის პოლიტიკური საკითხის გადაჭრით და ფინანსიურ პრობლემის განხილვას გადასდებენ შემდეგისათვის.

— ლოზანის კონფერენციის გახსნის დღეს მთელი დღე სტამბოლზე დაფრინავდენ ინგლისის 90 ჰაეროპლანები.

— ლოზანაში შესდგა თათბირი რუმინიის, ბოლგარეთის და საბერძნეთის დელეგატების წარმომადგენელებისა. თათბირმა აღიარა ბალკანეთის სახელმწიფოების ერთიანი ფრონტის შექმნის აუცილებლობა ახლო-აღმოსავლეთის კონფერენციაზე.

გერმანიის ფაბრიკა ქარხნების კომიტეტების კონგრესი.

— გერმანიის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების კონგრესზე, გერმანიის მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ბრანდლერმა. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ კაპიტალიზმი ირღვევა. ფაშიზმის ზრდა ამტკიცებს ბურჟუაზიის სისუსტეს იმ ბურჟუაზიის, რომელიც უნდობლად უცქერის არმიას და პოლიციას. ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების კონგრესის მიზანია დარაზმოს მუშათა კლასი მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველად და მოაწყოს კოალიცია მუშათა მთავრობის სასარგებლოდ. ბრანდლერი აქვეყნებს მუშათა კლასის მოთხოვნილებათა შემდეგ პროგრამას: წარმოებაზე კონტროლის დაწესება, 8 საათის სამუშაო დღის უზრუნველყოფა, შრომის ხარკის შემოღება, მსოფლიო მუშათა კონფერენციის მოწვევა ომის მიერ გამოწვეულ ცხოვრების დარღვევის აღსადგენი საკითხის განსახილველად. გერმანიის, ავსტრიის, რუსეთის და ოსმალეთის წარმომადგენელთა კონფერენციის მოწვევა, თავდაცვის კავშირის მოწყობის მიზნით. ვერსალის ხელშეკრულების გაუქმება. პროგრამა მიღებულ იქმნა ხმის დიდი უმრავლესობით.

ბრანდლერი იუწყება, რომ საქსონიაში კომუნისტებმა მიიღეს სოციალისტების პირობები. იქ მოსალოდნელია საქსონიის მუშათა მთავრობის შედგენა კომუნისტ. ბეტხარის და ბრანდლერის მონაწილეობით. კონგრესზე გამოცხადდა 841 დელეგატი. აქედან 657 კომუნისტებია.

ინგლისი

ლოიდ-ჯორჯი

— ნაციონალურ-ლიბერალების ფრაქციამ ინგლისის პარლამენტში ერთხმად აირჩია ლოიდ-ჯორჯი თავის ლიდერად.

რუსეთი და იაპონია

— „ჯასახში" დაბეჭდილია საუბარი იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრთან, რომელმაც განაცხადა: „ციმბირიდან იაპონიის ჯარების ევაკუაცია იძლევა რუსეთთან სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ მოლაპარაკების დაუყონებლივ დაწყების საბაბს თუ რუსეთი-წინადადებას მისცემს იაპონიას, უკანასკნელი სიამოვნებით დათანხმდება.

იტალია

ფაშისტები.

— ფაშისტების კაბინეტის განათლების მინისტრის ამხანაგმა ბრძანება გასცა გაკრულ იქნეს კედლებზე სახალხო სკოლებში, მეფის სურათები და ჯვრები.

ირლანდია

— ირლანდიის გამოჩენილმა რევოლიუციონერ ჩირბელდ ჟასის დასჯამ გამოიწვია დუბლინში ძლიერი აღშფოთება. მოშიანობენ სერიოზულ მღელვარების დაწყებას.



სპორტი ჩვენს ჯარში

სასპორტო წრე და შევარდენი.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ რაც ლეგიონში სასპორტო წრე დაარსდა.

წრეს ხელმძღვანელობს ამხ. ბერუჩაშვილი, ხოლო შევარდენის ნაწილს ამხ. მერკვილაძე და ჯავახიშვილი.

აღნიშნული ამხანაგები მაქსიმუმ ენერგიას ხარჯავდენ და ხარჯვენ დღესაც დაკისრებულ მოვალეობის პირნათლათ შესრულებისათვის.

ყველასათვის აშკარა და ნათელი უნდა იყოს, თუ რა მნიშვნელობა აქვს აღნიშნულ წრესა და ნაწილს სამხედრო დარგში; და ამისათვის წითელ-არმიელებიც მხურვალე მონაწილეობას უნდა იღებდნენ მასში.

წრის დაარსების მე-10 დღეს მათ წინადადება ქონდათ მიცემული, რომ თავისი მუშაობის ნაყოფი ეჩვენებინათ, როგორც არმიელთათვის, ისე მოქალაქეთათვის. 12 ამა ნოემბერს მოწვეულ იქნა ქალაქის შევარდენიც შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებათ, რისთვისაც გამომუშავებულ იქნა გეგმა შეჯიბრებებისა და აგრეთვე დარიგდებოდა ჯილდო ლეგიონის შეფის „არკოსის" გადმოცემული ლეგიონზე, რომლების ღირებულება 10-12 მილიონ მანეთს უდრიდა.

12 ნოემბერს შუადღის 3 საათიდან დაიწყო შეჯიბრება სადაც დაესწრენ სხვა ნაწილების წარმომადგენლებიც და მოქალაქენიც.

მშვენივრად მოწყობილი — მოკაზმული და ჩირაღდნებით მორთული არდაგანის ყაზარმების მინდორი, წარმტაც სურათს წარმოადგენდა.

მონაწილეთა საერთო მარშმა გულ სტოკვითა და ენტუზიაზმით გამოიყვანა ლეგიონის შევარდენი და აგრეთვე მოზრდილნი და პატარა ვაჟები — შევარდნელები.

პროგრამა სამ ნაწილად იყო დაყოფილი და სხვა და სხვა მიზეზების გამო მე 3 განყოფილებიდგან დაიწყო რომლის პირველ მუხლში ტყვია მფრქვევლის აშლა დაწყობა იდგა. შეჯიბრებაში რვა წითელ-არმიელები ღებულობდნენ მონაწილეობას.

1) ტყვია-მფრქვეველის „მაქსიმის" სისტემის 26 წუთში დაშლისთვის და აწყობისათვის წ.-არმ. ამხ. ნაფეტვარიძემ და 28 ნახ. წუთში ამხ. იაკობიძემ მიიღეს პრიზი, რასაც ვაშას ძახილით მიეგებნენ.

2) ტყვიამფრქვეველის „მაქსიმს" სისტემის კლიტის აშლა დაწყობაში 38 ნახ. წუთში პრიზი აიღო ამხ. წ.-ა. იაკობიძემ.

3) თვალ-ახვეული ტყვია მფრქვეველის „მაქსიმის" სისტემის კლიტის აშლა დაწყობაში 1 წამში და 10 წუთის განმავლობაში მიიღო პრიზი ამხ. ნადირაძემ.

4) 2 წამის განმავლობაში ნახ. ვერსის მანძილზე ტელეფონის ქსელის გაყვანისათვის და იმაზე დალაპარაკებისათვის ამხ. **კაპანაძემ** აიღო პრიზი.

5. ამის შემდეგ ტურნიკზე ვარჯიშობისთვის და საუცხოვოთ მოხდენისათვის, ქალაქის შევარდენის საზოგადოების ხელმძღვანელს ამხ. ჯავრიშვილს და მერკვილაძეს ლეგიონმა ჯილდოთ-პრიზი მიართვა საათი „ბუდილნიკი", რომლის ღირებულება უდრის 1,200,000 მან. რაც იმავ ამხანაგების მიერ იქნა გადაცემული შევარდენის საზოგადოების სახელით ამხ. ბერუჩაშვილზე გადასაცემათ იმ ლეგიონის შევარდნელებზ, რომელიც გამოიჩინდენ უნარს და აიღებდნენ პრიზს. ვაშა ტაში.

ამხ. ბუაჩიძე აცნობს დამსწრე საზოგადოებას იმათ ენერგიის გამოჩენას ლეგიონის შევარდენის შექმნაზე და მტკიცეთ მოვალეობის ასრულებაზე რასაც დამსწრე საზოგადოება ტაშის ცემით ეგებება. ამის შემდეგ ლეგიონის შევარდნელები გამოვიდნენ და თავისუფალ თოფებით ვარჯიშობით ალტაცებაში მოიყვანა ყველა დამსწრე. არავის არ ეგონა თუ ასე მოკლე ხანში შეთვისებნენ და გამოიჩინდნენ თავიანთ ცოდნას წ.-არმ. ელების ვარჯიშმა დიდი გავლენა მოახდინა ზოგიერთ ზარმაც წ.-არმიელებზე და დამსწრე საზოგადოებაზე. კობტა და შეუცდომლად ყველა პრიომების გაკეთება ძალიან სილამაზეს აძლევდა მოქმედებას, რის გამო მათ მიეკათ პრიზი საათი „ბუდილნიკი", ღირებული 1.500,000 მან.

რადგან დრომ არ მოგვცა საშვალება შეჯიბრების დათავებისა შეჯიბრება გადაიდვა მეორე დღისათვის.

1. მეორე დღეს ე. ი. 13 ნოემბერს შეჯიბრება დაიწყო შაშხანა თოფის დაშლა აწყობიდან და მის 1 წამსა და 3 წუთში აწყობა დაშლაში პრიზი აიღო წ.-არ იელმა გურჯიძემ და მეხმა 1 წამ. და 29 წ.

შაშხანა თოფის ხატვრის აშლადა დაწყობაში 25 წუთში პრიზი აიღო ამხ. გურჯიძემ.

შაშხანა თოფის ხატვრის აშლა დაწყობაში 23 ნახევარი წუთის განმავლობაში თვალ ახვეული პრიზი აიღო ამხ. თათარაშვილმა და ლომაძემ 52 წ.

ამის შემდეგ ძალიან საინტერესო და წარმტაცი, რაც დიდი მხიარულება გამოიწვია ფეხბურთულ რბენამ და პრიზი აიღო ამხ. ლომაძემ. მონაწილეობას ღებულობდა 15 წით. არმიელი.

4 მეტრზე და 8 სანტ. სიგძეზე გადახტომისათვის, პრიზი აიღო ამხ. წ. არ. ჩიჩუამ.

2 მეტრზე და 52 სანტ. ადგილიდგან გადახტომისათვის პრიზი აიღო წ. არ. ხაინდრავამ.

1 მეტრზე და 22 სანტ. სიმაღლეზე ახტომისთვის პრიზი მიიღო ამხ. ხაჭაპურიძემ.

1 მეტ და 1 სანტ. ადგილიდგან სიმაღლეზე ახტომისთვის პრიზი მიიღო ამხ. ჩიჩუამ.

100 მეტრზე 11 წუთის განმავლობაში პრიზი აიღო ამხ. ხაინდრავამ.

ტომრებით რბენით შეჯიბრებაში პრიზი მიიღო ამხ. გუთიაშვილმა.

აღნიშნულ დღესაც პროგრამა სრულად არ დათავდა, რადგან დროის მიხუდვის გამო გაგრძელება არ შეიძლებოდა და გადაიდვა შემდეგი კვირისათვის.

ეს შეჯიბრება მე-2 ლეგიონში პირველად ხდება, მაგრამ ყოველივეს მტკიცე და ენერგიული მუშაობით წ.-არ. და მ თიფურობის მეოხებით შევძლებთ შემდეგში უფრო მნიშვნელოვან შეჯიბრების მოწყობას, რაც გააჯანსაღებს და გამაგრებს მუშურ-გლეხურ წითელ-ჯარს.

სამხედრო: შ. შარაშენიძე.

„ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია"-ო.

მეორე საარტილერიო დივიზიონის უფროსთა შემადგენლობას ნაწილის, ბანაკათ დგომის დროს, თანახმად ბრძანებისა აყვანილი ყავდათ წითელ არმიელები თავიანთი პირადი სამსახურისთვის. ხოლო თბილისში ჩამოსვლის დროს მე მგონია ასეთები დაუშვებელია. თუ ყველა უფროსთა შემადგენლობა პირველ სამსახურისთვის აიყვანს წითელ არმიელებს, ეს გამოიწვევს წითელ არმიელებში უკმაყოფილებას, როგორც ეს ხდება ეხლა. პირველი სავეჯე ბატარეის უფროსმა ვერ დაუვიწყიათ ძველი ჩვეულება და აქაც არ იცილებენ ამ წითელ არმიელებს და იყენებენ პირადი სამსახურისთვის. დროა დაივიწყონ ის დრო, როდესაც მათ ქონდათ უფლება აეყვანათ ერთი და ორი ჯარის კაცი „დენჩიკათ", ეხლა კი ესეთები დაუშვებელია ჩვენს წითელ არმიაში, რაზედაც საჭიროა ჯეროვანი ყურადღების მიქცევა.

ალიკო.

წერილი ძმასთან

ძმაო ვანო, მე როდესაც გამიყვანეს წითელ არმიაში სამსახურის შესასრულებლათ მხოლოთ და მხოლოდ ვფიქრობდი ოჯახზე, რომელსაც მოვცილდი, არ ვიცოდი როდის ვინახულებდი ჩემს დედას, მამას და ძმებს...

როდესაც მიმიღეს ნაწილში ე. წ. მესამე ლეგიონის პირველ ასეულში, მე კიდევ დიდი ხნის განმავლობაში ვერ შევძელ შევეთვისებოდი ამხანაგებს, მაგრამ თანდათანობით ვეჩვეოდი მოვალეობის ასრულებას. რამდენიმე ხნის შემდეგ, არა მარტო სამხედრო ცოდნა შევიძინე, არამედ მე აქ, შევისწავლე ისიც თუ რაში უნდა გამომეყენებია ეს სამხედრო ცოდნა ე. ი. შევიძინე პოლიტიკური ცოდნა. მაგრამ აღსანიშნავია ის რომ მე რომელმაც არ ვიცოდი ხეირიანად წერა კითხვა და ესეც წერილი ეს არის ნაყოფი იმის რომ დღეს მუშურ-გლეხური ხელისუფლება ისე ენერგიულად ეკიდება წერა-კითხვის უცოდინართა მოსპობას როგორც ჯარში ისე სხვა და სხვა დარგებში!

მაშ ძმაო, ვანო წინეთ თუ არაფერი გამეგებოდა ეხლა შემიძლია ვიფიქრო არა მარტო ოჯახზე სხვა რამეებზედაც, მომიკითხე ყველანი.

წ. არმ. მორჩილაძე ზახარი.

1-ლი საარტილერიო დივიზიონის 2 ბატარეის შინაური ცხოვრებიდან.

მე-2ე ბატარეა საქართველოს რესპუბლიკის ჯარის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწილს წარმოადგენდა, რაც აიხსნება სპეციალურ მოღვაწეების და თანამშრომლების წინამძღოლობით, მაგრამ საუბედუროთ ბატარეას ეწვია კომისრათ ამხ. გვარჯალაძე, რომელმაც ბატარეის საქმე არა სასურველად დააყენა. ის ბევრს ტრაბახობდა, მაგრამ საქმით კი არაფერს აკეთებდა. საქმის გაკეთების მაგიერ ის გაემგზავრა თბილისში წითელ არმიელების მდგომარეობის გამოსარკვევათ და მასთან ჯამაგირების და სურსათის ფულის მისაღებათ; მიიღო თურმე ფულები და კიდეც დახარჯა. რამოდენიმე დღის შემდეგ ამხ. გვარჯალაძე მოვიდა ბატარეაში და განაცხადა: ფული ხაზინით გამოგზავნენ და ხვალ აგიღებო, ასიდაც მოიქცა, წავიდა მეორე დღეს ხაზინაში ერთი მზვერავით, მაგრამ რას მიიღებდა, რაც არ ქონოდა გამოგზავნილი. მზვერავი ისევ უკან დაბრუნებულა და თვით კი ქალაქში დარჩენილა. იმ დღეიდან აღარ ჩანს გვარჯალაძე, რომელმაც წ. არმიელთა ჯამაგირი შეჭამა და სახელმწიფო ბეჭედიც თან წაიღო. ჩვენ კი ის ჯამაგირი ისევ მიუღებელი გვაქვს. სრულიად არა გავს მას ჩვენი ახალი კომისარი ამხ. კაკაბაძე, რომელიც არ ზოგავს ენერგიას და ხარჯავს ამხ. წითელ არმიელებისათვის მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ.

კოდ

ორი სურათი.

1

გიორგის უხდებოდა ზრდა იმ დუხჭირ პირობებში, როდესაც ქართველი მშრომელი ხალხი თავის კირვარამს, თავის გულის ნადებს, ვერავის გაუზიარებდა, და გულში უხმოდ იკლავდა.

სწორედ ამ დროს მოუხდა გიორგის სამხედრო ბეგრის მოხდა. სიღარიბეში, სიღატაკეში გაზრდილი გიორგი, ვერ შერიგებოდა იმ პირობებს, იმ დამაბრკოლებელ მიზეზებს, რომელიც მის თვალწინ იშლებოდა, რომელიც გაგონილი ჰქონდა ომიდან დაბრუნებულ ჯარის კაცებიდან. გიორგიმ შეგნებით იცოდა, რომ მას თავი უნდა შეეწირა თვითპყრობელობის ტახტის გასამაგრებლად და ორთავიან არწივის ფრთა-გაშლილ ნავარდობისათვის, თავი უნდა დაედო სადღაც შორს გაყინულ ბრძოლის ველზედ, სადაც სვავნი და ყორანნი თავს დასჩხაოდენ საქართველოს გმირ მეომრებს. მან არ იცოდა თუ რა აზრს დასდგომოდა. ჯარი უკვე გამზადებული იყო წასასვლელად, მათ შორის გიორგიც, რომელსაც არავითარი ხალისი და მიმზიდველობა არ ეტყობოდა. ყველას თავის დედ — მამა თუ სხვა გვარი ნათესავები აცილებდა შორეულ მიმავალ მგზავრებს, გიორგი კი მარტოთ მარტო თავ ჩაქინდრული; მიყრდნობოდა კედელს და გაჰყურებდა ბრძოლის ველისკენ მიმავალ ქართველებს, რომელნიც დიდ სიხარულით და გაცისკროვნებული სახით მიემგზავრებოდენ დანიშნულ ადგილას. მესამე ზარიც დაჰკრეს. მატარებელმა დაიქშინა და მოსცილდა სადგურს; გიორგი გამხნევდა. გულში გაიელო ქართველი ვარ და არ შემშვენის სიმხდალეო, მოახტა უკანასკნელ ვაგონს, და უკანასკნელად გადაავლო თვალი იმ არე მარეს, იმ საყვარელ მიდამოს სადაც პირველად იგრძნო ნეტარება და სიყვარული სამშობლოსადმი.

პირველ ბრძოლის შემდეგ გიორგი მძიმედ დაჭრილი დაბრუნდა შინ. ოთხი თვის შემდეგ გიორგი განიკურნა და თან და თან ემატებოდა ცეცხლი რევოლიუციისა, საიდანაც უნდა ამოელოთ ჩამოქნილი თავისუფლების ემბლემა წითელი დროშა.

2

დაჰკრა უკანასკნელმა ჟამმა და გამარჯვების ნაღარის ხმაც გაისმა. დამარცხდა ის ვინც უნდა დამარცხებულიყო, და გაიმარჯვა იმ პარტიამ, რომელსაც სათავეში უდგა და ხელმძღვანელობდა გიორგი. ზეიმობს საქართველოს მუშათა კლასი და მასთან ერთად მუშურ-გლეხური წითელი არმია. ზეიმობს გიორგიც, მიიკლაკნება ჯარი და წინ უძღვის გიორგი წითელი დროშით, იმ დროშით, რომლის გულისათვის იბრძოდა გიორგი, დღეს გიორგის სულ სხვანაირი აღფრთოვანება, სულ სხვანაირი ელფერი და სულ სხვანაირი ენტუზიაზმი ეტყობა. ის მიდის სიხარულით და არ ეშინიან არავითარი დაბრკოლების და იცის თუ რისთვის და ვისთვის იბრძვის, ის არ არის დაჩლუნგებული. დღეს იმის ხმალი მტრის მკერდის გასაპობად არის გამზადებული. ის ამხნევებს თავის მეგობრებს რომელნიც არიან თავ ჩაქინდრულნი და მიიზლაზნებიან ბრძოლის ველისაკენ.

ბინდმა გაჰყარა მებრძოლნი. სიჩუმეა. ღამეა. მთვარე ოდნავ ანათებს შავ სუ არეში გამოხვეულ ბრძოლის ველს. კვნესა და ოხვრა ისმის, არსად სჩანს გიორგი. კარგა ხნის შემდეგ იპოვეს ერთ მივარდნილ ადგილს და თავისი წითელი დროშა, რომელსაც სისხლში გასვრით, უფრო სხივმფინარე სახე მიეღო, ჩაჰხვია გიორგის გულში, წითელი დროშა და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ებრძოლებია; იქვე ეგდო ოთხი კაცი მტრის ბანაკიდან. გამარჯვება გიორგის მხარეზე იყო.

ჯარმა დიდი ზეიმით დაასაფლავა გიორგის გვამი, და საუკუნო ძეგლი დაუდგა მას შარავანდედით და დაფნის გვირგვინით შეამკეს მისი საფლავი.

დავითიძე.

სიმღერა

ძღვნათ ვისაც ეხება.

ახალციხეში მდგომ მე-3-ე ლეგიონის ნაწილს არ მიუღია ტანისამოსი და ფეხსაცმელი. ქუთაისში რომ ჩამოვლენ მაშინ შეუკერავთ ფორმაზეო"

გაზ. „წით. არმ." № 153.

„ოდელია, დელია,
ლეგიონი ჩვენია
ვისაც „უემესქნია"
ყველა მას შერჩენია.

ფეხებზედაც გვკიდია
ახალციხის ნაწილი;
ჩვენ არ მოგვეკარება
ბრალდებები და ცილი.

„ოჩენ ნუჟნო, ი პლევატ"
დაიხოცონ სიცივით!
სამაგიეროთ ჩვენ აქ
დავქეიფობთ სიცილით.

მოიცადონ და ოდეს
ჩამოვლენ ქუთაისში
მაშინ მივცემთ, სულ მალე
ხვალ, ზეგ ანუ მაისში.

ოდელია, დელია
„ტრალალა პუმბია"
ამდენ ჭამით, ლვინის სმით
გაგვებერა რუმბივით,

ფორმაზე შეუკერავთ,
ოდელია რანინა,
მო, მაკოცე ლიუბოჩკა,
ალავერდი ოჩ, ნინა!..

ღაშნა.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან.
პასუხისმგებელი რედაქტორი ჰ. ქუთათელაძე.